ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულის

მორიგი სხდომის

ო ქ მ ი N11

ქალაქი ბათუმი **2023 წლის 27 ნოემბერი**

11^{00} საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულის თავმჯდომარე – რამაზ ჯინჭარაძე.

ესწრებოდნენ:

ირაკლი თავდგირიძე	-	საკრებულის თავმჯდომარის პირველი მოადგილე;
ნატალია ზოიძე	-	საკრებულის თავმჯდომარის მოადგილე;
ზურაბ ნაკაიძე	-	საკრებულის თავმჯდომარის მოადგილე;
მინდია გოგუაძე	-	საკრებულის ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის თავმჯდომარე;
დავით მახარაძე	-	საკრებულის იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
ლევან ცხოიძე	-	საკრებულის განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
გოჩა მგელაძე	-	საკრებულის საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიის თავმჯდომარე;
ნერიმან ცინცაძე	–	საკრებულის ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
თენგიზ აფხაზავა	-	ფრაქციის „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო" თავმჯდომარე;
ასლან ბალაძე	-	ფრაქციის ,,ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო'' თავმჯდომარის მოადგილე;

როსტომ ხალვაში	-	ფრაქციის ,,ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო'' თავმჯდომარის მოადგილე;
ლევან ბერიძე	-	ფრაქციის ,,ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო'' თავმჯდომარის მოადგილე;
ლევან დოლიძე	-	ფრაქციის ,,ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო'' თავმჯდომარის მოადგილე;
ნატო ნაცარაშვილი	-	ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" თავმჯდომარის მოადგილე;
ნაზი ფუტკარაძე	-	ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" თავმჯდომარის მოადგილე;
ბაჩი მექვაბიშვილი	-	ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" თავმჯდომარის მოადგილე;
მამუკა ქობულაძე	-	ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" თავმჯდომარის მოადგილე;
ალექსანდრე ვარშალომიძე	-	საკრებულოს წევრი;
აკაკი გვიანიძე	-	საკრებულოს წევრი;
თეონა ბერიძე	-	საკრებულოს წევრი;
ნინო ცხვარაძე	-	საკრებულოს წევრი
რიჩარდ სირაბიძე	-	საკრებულოს წევრი;
ნატალია ძიძიგური	-	საკრებულოს წევრი;
ირაკლი ძიძიგური	-	საკრებულოს წევრი;
თეკლა კავაზაშვილი	-	საკრებულოს წევრი;
რევაზ ხარაზი	-	საკრებულოს წევრი;
ქეთევან ლასტაკანიძე	-	საკრებულოს წევრი;
ილია ჯინჭარაძე	-	საკრებულოს წევრი;
ეკატერინე ზარია	-	საკრებულოს წევრი;

არ ესწრებოდნენ:

ნოდარ დუმბაძე	-	ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" თავმჯდომარე;
გიორგი ლომთათიძე	-	საკრებულოს წევრი;

კახაბერ ქაშიბაძე - საკრებულოს წევრი (საპატიო მიზეზით);

ვაჟა დარჩია - საკრებულოს წევრი;

ირაკლი ზოიძე - საკრებულოს წევრი.

სხდომას ე ს წ რ ე ბ ო დ ნ ე ნ:

– ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ – დავით კოპინაძე;

– ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი – გიორგი წანაწყენიშვილი;

– ა(ა)იპ - ბათუმის მუნიციპალური ინსპექციის სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ადამიანური რესურსების განყოფილების უფროსი - ლაშა მამულაძე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოქმედი რეგლამენტით გათვალისწინებული საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეები:

– საკრებულოს აპარატის უფროსი – რაულ ბოლქვაძე;

– საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი – ირაკლი თავართქილაძე;

– საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი – მადონა თურმანიძე;

საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი სპეციალისტი – მზევინარ წულუკიძე;

– საკრებულოს აპარატის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი – ლელა ნემსაძე;

– საკრებულოს აპარატის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი სპეციალისტი – ბადრი წულუკიძე;

– პრესისა და მასმედიის წარმომადგენლები.

საკრებულოს სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ, მიესალმა სხდომაზე დამსწრეებს და განაცხადა, რომ საკრებულოს სხდომას ესწრე-ბა საკრებულოს წევრთა ნახევარზე მეტი, სხდომა უფლებამოსილია განიხილოს დღის წესრიგით გათვალისწინებული 8 საკითხი.
საკრებულოს წევრმა, რევაზ ხარაზმა დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-3 სა-კითხთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ საკითხის „ქალაქ ბათუმის მუნიციპალი-ტეტის ტერიტორიაზე უნებართვო გარე ვაჭრობის ფაქტების აღკვეთისას სამა-რთალდარღვევის საგნის (საქონლის) კონფისკაციის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის

წესის, მესამე მუხლი ამოსაღებია, რადგან საკითხი საჭიროებს განხილვას, მსჯელობას და დამატებით შესწავლას. მან აღნიშნული საკითხის ამოღება დაყენა დღის წესრიგიდან.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ აღნიშნა, რომ ყველა ადამიანს უნდა შეექმნას პირობები ნორმალურ ადგილას განახორციელოს ვაჭრობა. ქუჩაში ვაჭრობა არ არის მოსაწონი. ქალაქი უნდა დაემსგავსოს ქალაქს. გამყიდველის და მყიდველის უფლებები არ უნდა დირღვას.

საკრებულოს წევრმა, თენგიზ აფხაზავამ აღნიშნა, რომ კონფისკაცია ისედაც ხდებოდა. ერთადერთი, რაც პროექტს ემატება განკარგვის წესია. შესაბამისად, მუნიციპალიტეტს ეძლევა, შეხედულებისამებრ განკარგოს ქონება და წარმოდგე-ნილი საკითხის ამოღებას არ ეთანხმება.

საკრებულოს თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ საკრებულოს სხდომის დღის წესრიგიდან მე-3 საკითხის ამოღება დაყენა კენჭისყრაზე.

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 30

კენჭისყრისშედეგები: მომხრე -11 (ნ. ნაცარაშვილი, ნ. ფუტკარაძე, ბ. მექვაბიშვილი, მ. ქობულაძე, ა. ვარშალომიძე, ი. ძიძიგური, თ. კავაზაშვილი, რ. ხარაზი, ქ. ლასტაკანიძე, ი. ჯინჭარაძე, ე. ზარია)
წინააღმდეგი - 19

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ სხდომის მონაწილეებს, საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგი:

საკითხი 1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 16 დეკემბრის №31 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ედარ ნატარიძე)

საკითხი 2. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12-მე-16 ნაწილებით, 125^3 მუხლით, 135-ე და 135^1 მუხ-ლებით 125-ე მუხლის მე-8, მე-12, მე-13 და მე-15 ნაწილებით, 125^3 მუხლით, 135-ე და 135^1 მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე საქართველოს კანონმ-დებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციულ სამართა-ლდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის/გამოწერის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 19 მარტის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

(მომხს: ა(ა)იპ – ბათუმის მუნიციპალური ინსპექციის სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ადამიანური რესურსების განყოფილების უფროსი – ლაშა მამულაძე)

საკითხი 3. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უნებართვო გარე ვაჭრობის ფაქტების აღკვეთისას სამართალდარღვევის საგნის (საქონლის) კონფისკაციის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალ-იტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

(მომხს: ა(ა)იპ – ბათუმის მუნიციპალური ინსპექციის სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ადამიანური რესურსების განყოფილების უფროსი – ლაშა მამულაძე)

საკითხი 4. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №34 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

საკითხი 5. „ქალაქ ბათუმში, ალლიისა და ლუხ და მარია კაჩინსკების ქუჩების შემაერთებელი ქუჩის მშენებლობისათვის განსახორციელებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

საკითხი 6. „ქ. ბათუმში, კახაბრის ქ. N38; კახაბრის ქ. N40; კახაბრის ქ. N40-ის მიმდებარედ მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ. 05.31.07.372, 05.31.07.373, 05.31.07.852) განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანულ პოლიტიკის სამსახურის უფროსი გიორგი წანაწყენიშვილი)

საკითხი 7. „ქ. ბათუმში, ბაგრატიონის ქ. N139-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ 05.26.01.002) განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანულ პოლიტიკის სამსახურის უფროსი გიორგი წანაწყენიშვილი)

საკითხი 8. „ქ. ბათუმში მემედ აბაშიძის ქ. N53-ში მდებარე სახლზე შოთა ზოიძის მემორიალური დფის განთავსების თაობაზე" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე – ლევან ცხოიძე)

საკრებულოს თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი დაყენა კენჭისყრაზე.

კენჭისყრისას სხდომას 30 ესწრებოდა:

მომხრე –19

კენჭისყრისშედეგები: წინააღმდეგი - 0
არ მიიღო მონაწილეობა -11 (
ნ.ნაცარაშვილი, ნ.ფუტკარაძე,
ბ.მექვაბიშვილი, მ.ქობულაძე, ი.ძიძიგური,
ა.ვარშალომიძე, თ.კავაზაშვილი, რ.ხარაზი,
ქ.ლასტაკანიძე, ი.ჯინჭარაძე, ე.ზარია)

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მიღებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის 15 დეკემბერს ხდება სტატუსის მინიჭება და ერთად იზეიმებს ქართველი ერი და საქართველო ევროკავშირის სტატუსის მინიჭებას, რომელიც მნიშვნელოვანი და გონივრული გადწყვეტილებაა.

საკრებულოს წევრმა, ირაკლი თავდგირიძემ საოკუპაციოძალების მიერ მოკლე-ლი სალიცავში მისული თამაზ გინტურის ხსოვნისათვის საკრებულოს წევრებს სთხოვა წეთერი დუმილით პატივის მიგება.

საკრებულოს წევრებმა წუთერი დუმილით პატივი მიაგეს მის ხსოვნას.

საკრებულოს წევრმა, ნატალია ზოიძემ აღნიშნა, რომ 25 ნოემბრიდან - 10 დეკემბრამდე მთელს მსოფლიოში მიმდინარე - ქალთა ძალადობის წინააღმდეგ მიმართული კამპანიაა. მათ სოლიდარობა გამოხატეს ნარინჯისფერი ბაფთებით და მხარდაჭერა დაფიქსირეს მზიანი მომავლისათვის. ყოველწლიურად აღინიშნებოდა სხვადასხვა აქტივობები. მადლობა გადუხადა საკრებულოს წევრებს სოლიდარობისთვის. ნებისმიერმა ძალადობის მსხვერპლმა უნდა მიმართოს ცხელ ხაზს 112 ან 116 006.

საკრებულოს წევრი, აკაკი გვიანიძე უერთდება მილოცვას ევროკავშირის კანდიდატის წევრობაზე რეკომენდაციის გაცემას. საქართველო და ქართველი ხალხი ნამდვილად იმსახურებს ამ შანსს. რამდენიმე წლის წინ იყვნენ ასოცირებულ ტრიოში ლიდერი ქვეყანა, თუმცა დღეს სამწუხაროდ მოლდოვამ და უკრაინამ გაასწრო. მოლდოვა იღებს არა სტატუსს, არამედ გაწევრიანების მოლაპარაკებების გეგმას, ამიტომ მნიშვნელოვანია ყველა პოლიტიკურმა ძალამ გამოიჩინოს სიბრძნე, კომპრომისის უნარი, იმისათვის, რომ დაჩქარებული წესით შეძლონ 2024 წელს მოლაპარაკებების დაწყება და გაიხსნას ეს კარი. რაც შეეხება ქალაქთან დაკავშირებულ საკითხებს, პირველი და მნიშვნელოვანი არის ის, რომ საკრებულოს წევრებს აქვთ საშუალება გააჟღერონ მოქალაქეების საჩივრები, გულისტკივილი თუ მოთხოვნები. ერთ-ერთი ასეთი არის ოჯახები, რომლებშიც შეზღუდული შესაძლებლობების პირთა რაოდენობა არის 3 ან მეტი. მას სურს, მოუწოდოს მერიას და საკრებულოს წევრებს დროულად შემუშავდეს პროგრამა, რომელიც ასეთ ოჯახებს დეხმარება საცხოვრებელი ფართით, რადგან ასეთი ადამიანების ქუჩაში დატოვება არის ტრაგედია. აღნიშნულთან დაკავშირებით პირველ რიგში მერიის შესაბამისმა სამსახურმა მოიძიოს ასეთი ოჯახების სია.

საკრებულოს წევრმა, ნაზი ფუტკარაძემ აღნიშნა, რომ ნონეშვილის #13ᵃ-ში ცხოვრობს იზოლდა ჯაბნიძის ოჯახი მცირეწლოვანი ბავშვებით, ეზოც და სახლიც გაჟღენთილია ნავთით, ახლა ჩვილი ბავშვიც შეეძინათ და სად უნდა წაიყვანონ არ იციან. გასახლებაა საჭირო. გაუსაძლისი მდგომარეობაა და იქ ცხოვრება შეუძლებელია. ასევე ბარცხანის ხიდის ქვეშ ათუნებს ერთი ქალბატონი, რომელთანაც კომუნიკაცია ვერ დამყარა და შესაძლებელია გენდერულმა საბჭომ განიხილოს ქალის მდგომარეობა.

საკრებულოს წევრმა, ნატალია ზოიძემ აღნიშნა, რომ გენდერული საბჭო თუ იქნება ინფორმირებული, აუცილებლად განიხილავს საკითხს. ასეთი შემთხვევების თაობაზე მიმართეთ საბჭოს რეაგირებისათვის.

საკრებულოს წევრმა, რევაზ ხარაზმა განაცხადა, რომ ქალთა მიმართ ძალადობის თაობაზე სახელმწიფომ უნდა შექმნას პოლიტიკა დასარეგულირებლად. რაც შეეხება სტატუსის მიღებას 2003 წლის 23 რიცხვში ვარდების რევოლუციამ მოუტანა ამ ქვეყანას ევროპული მომავალი, წარმატება და ყველაფერი ის, რითიც ამაყობთ. დარწმუნებულია ეს ქვეყანა შევა ევროპაში, თუმცა ქვეყნის მესამე პრეზიდენტი ციხეშია. ამისთვის ხელისუფლება არაფერს არ აკეთებს. ასევე დღეს განსახილველად წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტი ვერ ასახავს ბათუმელების ინტერესს, ეს ცვლილება ემსახურება დაბალანსებას სხვადასხვა საკითხების, რომელიც 40 000 სოციალურად დაუცველს საერთოდ არ აინტერესებს.

საკრებულოს წევრმა, ნინო ცხვარაძემ ქალთა ძალადობასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მიუღებელია, რაც სეეხება კანდიდატის სტატუსს, დადებითი რეკომენდაცია გაიცა. ეს არის ხელისუფლების დამსახურება, იმ ხელისუფლების, რომელმაც გაიარა ბეწვის ხიდზე და დრეს შეინარჩუნა სტაბილურობა, მშვიდობა ამ ქვეყანაში. რაც შეეხება ბათუმს აქვს ბავშვზე ორიენტირებული ქალაქის სტატუსი და ძალიან ბევრი რამ კეთდება ბავშვებისთვის. ქალაქში არის 36 საბავშვო ბაღი, სამწუხაროდ 371 შეზღუდული შესაძლებლობის ბავშვია, აქედან 10 მძიმე ფორმით, 1 კი ეტლით მოსარგებლე. საბავშვო ბაღებს დამატეს სპეც. მასწავლებლები, თუმცა არის საჭიროება სპეც. მასწავლებლების დამატებისა. თხოვნით მიმართა აღნიშნული საკითხის პროგრამებში გათვალისწინების შესახებ.

საკრებულოს წევრმა, ეკატერინე ზარიამ აღნიშნა, რომ თამარის დასახლებაში დევნილების კორპუსი აშენებულია ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ტერიტორიაზე, არსებული არეალი, კერძოდ კორპუსებიდან 15 მეტრში ღია გრუნტში დღესაც იღვრება ნავთობის სახიფათო ნარჩენები. აქედან გამომდინარე ბინძურდება ჰაერი, ნიადაგი, რაც ადამიანების ჯანმრთელობაზე დიდ ზეგავლენას ახდენს. მოსახლეობაში მოჭარბებულია ონკოლოგიური დაავადებები. ასეთ პრობლემებზე აუცილებელია ყურადღების მიქცევა.

საკრებულოს წევრმა, დავით მახარაძემ მიულოცა ქვეყანას კანდიდატის სტატუსის მინიჭება, თითოეული მოქალაქის დამსახურებაა ეს, თუმცა იყო ხალხი, რომ ეს პროცესი დეზიანებინა, ღიად აღიარებდნენ სოციალურ ქსელებში, სატელევიზიო გადაცემებში.

საკრებულოს წევრმა, მამუკა ქობულაძემ აღნიშნა, რომ ქალაქს აქვს ძალიან ბევრი პრობლემა, ხოლო როდესაც ეს პრობლემის არმოფხვრა მოდის ე.წ.ოპოზიციური ფლანგიდან უმრავლეს შემთხვევაში იბლოკება სხვადასხვა სახით. მან მადლობა გადუხადა საკრებულოს ხელმძღვანელობას ინდივიდუალური დახმარების ასპექტში.

საკრებულოს წევრმა, ასლან ბალაძემ ბათუმის დინამოსთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ კლუბს შეუსრულდა 100 წელი, უხარია, რომ საკრებულოს მიეცა იმის საშუალება, რომ ბათუმის დინამოს გუნდს, ხელმძღვანელობას, ბათუმს მიულოცა მნიშვნელოვანი თარიღი. კლუბისთვის მთავრობა ძალიან ბევრს აკეთებდა და აკეთებს. სამი დღის უკან კლუბმა მოიპოვა ჩემპიონობა, რომელიც მნიშვნელოვანია ქალაქისთვის. ამ დღეებში კარგი გამარჯვება ექნება ქალაქს. 6 დეკემბერს ტარდება საქართველოს ჩემპიონის ფინალი, რომელიც მნიშვნელოვანია, რადგან 100 წლის განმავლობაში ოქროს დებლი არ შეუსრულებია. მადლობა გადუხადა საკრებულოს წევრებს მხარდაჭერისთვის.

სხლომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ მადლობა გადუხადა და უამრავი წარმატება უსურვა ბათუმის დინამოს.

საკრებულოს წევრმა, ნატალია ძიძიგურმა ბათუმის დინამოს უსურვა წარმატებები. ის შეუერთდა ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ კამპანიას და აღნიშნა, რომ დარბაზში ორი ისეთი პარტიის

წარმომადგენელია, რომლებთანაც ძალადობა პოლიტიკაში მყოფი ქალის მიმართ ჩვეულებრივი მოვლენაა. მას აინტერესებს, თუ როგორ უკეთათ ნარინჯისფერი ბავთა გულზე.

საკრებულოს წევრმა, ნერიმან ცინცაძემ ისაუბრა გენდერული საბჭოს მიერ ძალადობასთან დაკავშირებული პრობლემების განხილვის თობაზე. დეთანხმა ნატალია ძიძიგურს და აღნიშნა ერთმანეთის გვერდში დგომის აუცილებლობაზე.

საკრებულოს წევრმა, თენგიზ აფხაზავამ განაცხადა, რომ მზადდება უსახლოაროთა პროგრამა და ასეთ ოჯახებს გასცემენ ბინებს. რაც შეეხება ძალადობას, ყველა უერთდება და წინააღმდეგია ქალთა ძალადობის მიმართ. ამის შესახებ ყველას მიუვიდა 112-ის ლინკი. რაც შეეხება ევროკავშირის სტატუსის მინიჭებას, მიულოცა და აღნიშნა, რომ ქართული სულთ, ლირსებით უნდა სევიდნენ ევროპაში და არა თავჩაქინდრულები. რაც შეეხება 2024 წლის ბიუჯეტზე შენიშვნებს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მხოლოდ 5 წევრის ცალკე შენიშვნა მიიღეს. ბიუჯეტი ნამდვილად მოსახლეობაზეა მორგებული.

საკრებულოს წევრმა, თეკლა კავაზაშვილმა აღნიშნა, რომ ბათუმში ნომერ 6 მუნიციპალური ავტობუსში გასკდა რადიატორი და ბავშვმა მიიღო ქვედა კიდურების დამწვრობა. გთხოვთ, გაარკვიოთ აღნიშნული ფაქტი. ასევე ნათლად ჩანს უმრავლესობა პრობლემისა, რომელიც ქალაქს აწუხებს - დაწყებული საცობით, დამთავრებული უაზრო განაშენიანებით. ლეის მდგომარეობით, სტიქიის - შტორმის შედეგად სარფის სანაპიროდან ახალ ბულვარით დამთავრებული მთლიანი ინფრასტრუქტურა მოშლილია. ასევე კვარიათის ბოლოს დატბორილია მშენებარე კორპუსის მეორე სართული.

საკრებულოს წევრმა, ბაჩი მექვაბიშვილმა მიულოცა კანდიდატის რეკომენდაცია, ასევე ასლან ბალაძეს მიულოცა ბათუმის დინამოს წარმატება. გამოეხმაურა 2024 წლის ბიუჯეტის პროექტს, რეკომენდაციის სახით ფრაქციიდან გამოგზავნილი იქნა შენიშვნები, ქალაქში ბევრია პრობლემა, მათ შორის სასაფლაოს პრობლემა, 3 მილიონ 400 ათასია დახარჯული, მილიონ 300 ათასის ტენდერია გამოსაცხადებელი, თუმცა მათ ჩაბარებული და ხელმოწერილი აქვთ 2018 წელს. სამუშაოები კი არ არის დასრულებული.

საკრებულოს წევრმა, აკაკი გვიანიძემ აღნიშნა, რომ ქალთა მიმართ ძალადობა წარმოადგენს სერიოზულ პრობლემას, მაგრამ პოლიტიკაში ერთხელ და სამუდამოდ უნდა დასრულდეს დაუსაბუთებელი ბრალდებების. ყველასთვის ცნობილი რომ იყოს შეტანილი აქვს განცხადება/საჩივარი პროკურატურაში ჭეშმარიტების დასადგენად, რადგან ბრალდება არის სისხლის სამართლის დანაშაული.

საკრებულოს ფრაქციის ,,ერთიან ნაციონალურმა მოძრაობა"- წევრებმა რ.ხარაზმა, ი.ძიძიგურმა, ა.ვარშალომიძემ, ნ.ნაცარაშვილმა, ნ.ფუტკარაძემ, ბ.მექვაბიშვილმა, მ.ქობულაძემ, თ.კავაზაშვილმა, ქ.ლასტაკანიძემ, ი.ჯინჭარაძემ, ე.ზარიამ დატოვეს სხდომათა დარბაზი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიცი-პალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 16 დეკემბრის №31 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თობაზე" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი
ედნარ ნატარიძე)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები შესაბამისობაშია საქართველოში არსებულ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებთან. პროექტით ხორციელდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლისათვის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების და გასაწევი გადასახდელების ნუსხის დამტკიცება საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად, კერძოდ ცვლილება შედის ბიუჯეტის როგორც შემოსულობებში ასევე გადასახდელების ცალკეულ პროგრამებში/ქვეპროგრამებში; ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი არ იცვლება, შეიცვალა რიგი შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები, კერძოდ: - გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებელი იზრდება 1,089.6 ათასი ლარით; დამატებული ღირებულების გადასახადი იზრდება - 1,089.6 ათასი ლარით; საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები განისაზღვრება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის 6-ე და 61-ე პუნქტების გათვალისწინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებული საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლების შესაბამისად (ფინანსთა მინისტრის 2023 წლის 29 სექტემბერის 04-03/76737 წერილი) სხვა შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი იზრდება 2,410.4 ათასი ლარით; მათ შორის: პროცენტები - 2,410.4 ათასი ლარით, მუნიციპალიტეტის მიერ ბანკში განთავსებულ ფულად სახსრებზე დარიცხული სარგებლის ფაქტიური და საორიენტაციო შესრულების გათვალისწინებით; - არაფინანსური აქტივების კლების საპროგნოზო მაჩვენებელი მცირდება 3,500.0 ათასი ლარით, საპრივატიზაციო ობიექტების გაყიდვის (აუქციონი) შედეგად გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული საფასურის გადახდის გრაფიკების გათვალისწინებით დაკორექტირდა საპროგნოზო მაჩვენებელი; წარმოდგენილი პროექტის მიხედვით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის გადასახდელების ჯამური მაჩვენებელი არ იცვლება.

ა ზ რ ი
გ ა მ ო თ ქ ვ ე ს: მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მომართვიანობის საფუძველზე ცვლილება უნდა შევიტანოს აღნიშნულ დადგენილების პროექტში, კერძოდ: ქალთა ფეხბურთი, რომელსაც ფედერაციიდან დამატებით გამოეყო ფინა-ნსური რესურსი, გარკვეული ნაწილი კლუბის წახალისებაზე მიიმართება. კალათბურთის კლუბმა ითხოვა შიდა გადანაწილება და საჩემპიონატო ნაწილში მონაწილეობის მიღება/გასვლითი თამაშები. ორი ქალაქგარეთ გასვლითი თამაში დაემატა. ასევე არის კეთილმოწყობის შიდა პროგრამა, ე.წ. ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების დაზუსტება, ნაცვლად არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლიდან 3500 ლარის ამოკლება უნდა განხორციელდეს საქონელი და მომსახუ-რებიდან, ესეც შესყიდვის პროცესებიდან გამომდინარე.

საკრებულოს წევრმა, თენგიზ აფხაზავამ განაცხადა, რომ საკრებულოს საფინანსო კომისიის სხდომაზე წარმო-დგენილი შენიშვნები გათვალისწინებულია. რამდენიმე თვის უკან საკრებულოს წევრის ასლან ბალაძის ძალის-ხმევით ახალ ბაზაზე ჩატარდა მატჩი, სადაც ბათუმის გუნდმა 6:0 მოიგო.

საკრებულოს წევრმა ასლან ბალაძემ მადლობა გადუხადა ქალთა ფეხბურთის თანადგომისათვის. აღნიშნა ქვიშის ფეხბურთში ბათუმის დინამოს ორგზის ჩემპიონობის შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი, ცვლილების გათვალისწინებით დაყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 19

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 18
წინააღმდეგი – 0
არ მიიღო მონაწილეობა – 1(ა. გვიანიძე)

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი, ცვლილების გათვალისწინებით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : **საკითხი 2.** „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალ-დარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12-მე-16 ნაწილებით, 125^3 მუხლით, 135-ე და 135^1 მუხლებით 125-ე მუხლის მე-8, მე-12, მე-13 და მე-15 ნაწილებით, 125^3 მუხლით, 135-ე და 135^1 მუხლებით გათვალისწინებულ სამართალ-დარღვევებზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალ-დარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის/გამოწერის, ჩაბარების, აღრიცხვა-

ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 19 მარტის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ ბათუმის მუნი-ციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

(მომხს: ა(ა)იპ – ბათუმის მუნიციპალური ინსპექციის სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ადამიანური რესურსების განყოფილების უფროსი – ლაშა მამულაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 მაისის №10 დადგენილებით რიგი ცვლილებები იქნა შეტანილი „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილთა და 125^3 მუხლთან გათვალისწინებულ შემთხვევებში საჯარიმო ქვითრის (ოქმის) ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 19 მარტის №8 დადგენილებაში, რითაც ახლებურად დადგენილ იქნა წესი, ასევე შეიცვალა დადგენილების სათაური და პრეამბულა, თუმცა რიგ მუხლებში საჭიროა ცვლილების შეტანა, იცვლება დადგენილების პირველი მუხლის „გ" ქვეპუნქტით დამტკიცებული „საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის ფორმა", ასევე წესის დანართი N1-ის მე-3 მუხლის მე-11 პუნქტი და მე-4 მუხლის მე-4 პუნქტი საჭიროებს ახლებრად ჩამოყალიბებას, კერძოდ:

ა) მე-3 მუხლის მე-11 პუნქტი ჩამოყალიბდეს უნდა შემდეგი რედაქციით:

„11. თუ სამართალდამრღვევს არ აქვს პიროვნების დამადასტურებელი საბუთები და არ არიან მოწმეები, რომლებსაც შეუძლიათ მიაწოდონ საჭირო ცნობები მის შესახებ თანამშრომელი უფლებამოსილია გამოიძახოს პოლიცია. საამისოდ უფლებამოსილმა პირმა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 243-ე მუხლის 2^1 ნაწილის შესაბამისად, შეიძლება სამართალდამრღვევი მიიყვანოს პოლიციაში სახელის, გვარისა და საცხოვრებელი მისამართის დადგენის მიზნით. აღნიშნული მონაცემების დადგენის შემდგ თანამშრომელი ავსებს საჯარიმო ქვითარს – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს.".

გ) მე-4 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. თანამშრომელი ელექტრონულ საჯარიმო ქვითარს ავსებს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული 125-ე მუხლის მე-8, მე-12, მე-13 და მე-15 ნაწილებით, 125^3 მუხლთან და 135-ე და 135^1 მუხლებით, თუ სამართალდამრღვევს არ აქვს პიროვნების დამადასტურებელი საბუთები და არ არიან მოწმეები, რომლებსაც შეუძლიათ მიაწოდონ საჭირო ცნობები მის შესახებ, თანამშრომელი უფლებამოსილია გამოიძახოს პოლიცია. საამისოდ უფლებამოსილმა პირმა, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 243-ე მუხლის 2^1 ნაწილის შესაბამისად, შეიძლება სამართალდამრღვევი მიიყვანოს პოლიციაში სახელის, გვარისა და საცხოვრებელი მისამართის დადგენის მიზნით. აღნიშნული მონაცემების დადგენის შემდგ თანამშრომელი ავსებს ელექტრონულ საჯარიმო ქვითარს. აღნიშნული პროცესი საამისოდ უფლებამოსილმა პირმა შეიძლება დაფიქსიროს ელექტრონული მოწყობილობით და ამის თაობაზე ვალდებულია აცნობოს სამართალდამრღვევს.".

ზემოაღნიშნულთან გამომდინარე მომზადებული იქნა აღნიშნულ დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი, დაყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა:
19

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 18
წინააღმდეგი – 0
არ მიიღო მონაწილეობა –1(ა. გვიანიძე)

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : **მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.**

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : **საკითხი 3.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერი-ტორიაზე უნებართვო გარე ვაჭრობის ფაქტების აღკვეთისას სამართალდარღვევის საგნის (საქონლის) კონფისკაციის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

(მომხს: ა(ა)იპ – ბათუმის მუნიციპალური ინსპექციის სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ადამიანური რესურსების განყოფილების უფროსი – ლაშა მამულაძე)

მომხსენებელმა წარმოადგინა განკარგულების პროექტი და აღნიშნა, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში განხორციელებული ცვლილების მიხედვით, იმ საგნის (საქონლის) კონფისკაცია, რომელიც ამ კოდექსის 153^3 ან 153^6 მუხლით გათვალისწინებული ადმინი-სტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის უშუალო ობიექტი იყო, გულისხმობს მის შესაბამისი მუნიციპალიტეტის საკუთრებაში იძულებით, უსასყიდლოდ გადაცემას, ხოლო სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესს ადგენს შესაბამისი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 24.10.2023წ №g-15.15232975 განკარგულებით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარვევათა კოდექსის 153^3 მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე უფლებამოსილ პირებად განისაზღვრა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ბათუმის მუნიციპალური ინსპექცია" თანამშრომლები, ასევე არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ბათუმის ბოტანიკური ბაღი"-ს და საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ბათუმის ბულვარი"-ს თანამშრომლები, მხოლოდ მათ საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებულ ან/და მოვლა-პატრონობისათვის განსაზღვრულ ტერიტორიებზე.

ზემოაღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით შემუშავებული იქნა „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უნებართვო გარე ვაჭრობის ფაქტების აღკვეთისას სამართალდარღვევის საგნის (საქონლის) კონფისკაციის შედეგად მიღებული ქონების განკარგის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

დადგენილების პროექტის მიხედვით კონფისკაციის შედეგად მიღებული ქონება ექვემდებარება პირდაპირი განკარგვის წესით უსასყიდლოდ გადაცემას იმ იურიდიული პირებისათვის, რომელთა საქმიანობის მიზანს წარმოადგენს სოციალურად დაუცველი, მზრუნველობამოკლებული,

თავშესაფარში მცხოვრები ან სხვა გარემოების გამო სპეციალური საჭიროებების მქონე პირთათვის მომსახურების გაწევა/დახმარება. ხოლო ის ქონება, რომელიც არ ექვემდებარება გადაცემას ან ვერ გამოვლინდა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლებით ქონების მიმღები პირი, უნდა განიკარგოს ან განადგურდეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

პროექტის მიხედვით დაწესებულებებისათვის ქონების გადაცემაზე უფლებამოსილება ენიჭება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის სახელით ა(ა)იპ „ბათუმის მუნიციპალურ ინსპექცია"-ს, ასევე, ა(ა)იპ „ბათუმის ბოტანიკურ ბაღს" და სსიპ ქალაქ ბათუმის ბულვარს".

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ ვ ე ს: საკრებულოს წევრს, აკაკი გვიანიძეს მიაჩნია, რომ წარმოდგენილი წესი არის ხარვეზიანი და იურიდიულად გაუმართავია, იმიტომ, რომ სულ სამი მუხლისაგან შედგება, რომელიც ბევრ საკითხს არ აწესრიგებს. საკვებ პროდუქტების ჩამორთმევის ერთ-ერთი, გარდუკანონო-ნოსი არის ის, რომ არაშესაბამის პირობებში იყიდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია და შესაბამისად ამის გადაცემა როგორ უნდა მოხდეს არ წერია. წესში უნდა იყოს დაკონკრეტება. ამ ხარვეზებით თვლის, რომ ინიციატორმა უნდა გაითვალისწინოს ან საკრებულომ არ უნდა დაუჭიროს მხარი. გასაგები უნდა იყოს ყველაფერი და შემდგ უნდა დამტკიცდეს წესი.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ აღნიშნა, რომ მალფუჭებადი პროდუქტების გაყიდვა არ უნდა მოხდეს ღია ცის ქვეშ.

საკრებულოს წევრმა, თენგიზ აფხაზავამ განაცხადა, რომ იურიდიულად დელეგირებას აძლევს საკრებულო მუნიციპალურ ინსპექციას.

საკრებულოს წევრმა, გოჩა მგელაძემ განმარტა, რომ მუნიციპალურ ინსპექციას მიეცემა ჩამორთმევის და განკარგვის უფლება.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა:
19

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18
წინააღმდეგი - 0
არ მიიღო მონაწილეობა -1(ა. გვიანიძე)

დ ა ა დ გ ი ნ ე ს: **მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.**

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : **საკითხი 4.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №34 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ განკარგულების პროექტი ითვალისწინებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილი განცხადებების საფუძველზე, ასევე ქალაქ ბათუმის მუნიცი-პალიტეტის მერიის ინიციატივით, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დარეგისტრირებული უძრავი/მოძრავი ქონებების ქალაქ ბათუმის მუნიციპალი-ტეტის საკუთრებაში არსებულ საპრივატიზებო უძრავი ობიექტების ნუსხასა და პრივატიზების გეგმაში ცვლილების შეტანას, შემდგომი განკარგვის მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დაუყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა:
18 (ა. გვიანიძე)

არ ესწრებოდა: 1
კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 18
წინააღმდეგი – 0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : **საკითხი 5.** „ქალაქ ბათუმში, ადლიისა და ლუხ და მარია კაჩინსკების ქუჩების შემაერთებელი ქუჩის მშენებლობისა-თვის განსახორციელებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ადლიისა და ლუხ და მარია კაჩინსკების ქუჩების შემაერთებელი ქუჩის პროექტის განხორციელებაზე. მომზადებულია მოსაწყობი ქუჩის წინასწარი პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქუჩის მოწყობის არეალში მოქცეულ, იურიდიული პირის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების ათვისებას (მიწის ნაკვეთი), რაც უნდა განხორციელდეს მესაკუთრესთან შესაბამისი შეთანხმების საფუძველზე. ასათვისებელი, უძრავი ქონების მესაკუთრეს კომპენსაციის სახით უნდა აუნაზღაურდეს მათი საბაზრო ღირებულება, ან გადაეცეს საცხოვრებელი ფართი (ტოლფასოვნად),

„საქართველოს კონსტიტუციის" და „აუცი-ლებელ საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ" საქართველოს კანონის და „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონით განსაზღვრულ ღონისძიებების ფარგლებში

პროექტი მოიცავს კერძო - შპს ,,ელთ ბილდინგი"-ს (ს/ნ№445471285) საკუთრებაში რეგისტრირებულ ორი მიწის ნაკვეთიდან (ს/კ №05.32.15.204 და ს/კ №05.32.18.070) ასათვისებელ 1105,0 კვ.მ. ფართობს.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი, დაყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 18
(ა. გვიანიძე)
არ ესწრებოდა: 1
კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18
წინააღმდეგი - 0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებულ იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : **საკითხი 6.** „ქ. ბათუმში, კახაბრის ქ. N38; კახაბრის ქ. N40; კახაბრის ქ. N40-ის მიმდებარედ მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ. 05.31.07.372, 05.31.07.373, 05.31.07.852) განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგუ-ლების პროექტი

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანულ პოლიტიკის სამსახურის უფროსი გიორგი წანაწყენიშვილი)

მომხსენებელ მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ განმცხადებელს შპს ,,ინთაუნ'' მიერ მოთხოვნილია ქ. ბათუმში, კახაბრის ქ. N38, 40, 40-ის მიმდებარედ მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ. 05.31.07.372, 05.31.07.373, 05.31.07.852) განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცება. დაგეგმვის მიზანია მრავალბინიანი საცხოვრებელ სახლის მშენებლობა. მოთხოვნილ განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტის ოდენობა შეადგენს 4,6-ს. განმცხადებლს მიერ პროექტირების ეტაპზე, დაზუსტდება მაკომპე-ნსირებელ ღონისძიების ოდენობა, რომელიც შეადგენს გადამეტებულ კ2 მაჩვენებლს 10 %-ს.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დაყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა:
18 (ა. გვიანიძე)

არ ესწრებოდა: 1
კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 17
წინააღმდეგი - 0
არ მიიღო მონაწილეობა 1 (ნ. ძიძიგური)

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებულ იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : **საკითხი 7.** „ქ. ბათუმში, ბაგრატიონის ქ. N139-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ 05.26.01.002) განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი გიორგი წანაწყენიშვილი)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ განმცხადებელს შპს ,,გუმ ბილდინგი'' მიზანია ქალაქ ბათუმში, ბაგრატიონის ქ. N139-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე 05.26.01.002 განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცება. დაგეგმვის მიზნაია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. მოთხოვნილია განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტის გაზრდა, რისთვისაც საჭირო გახდა დეტალური გეგმის დამუშავება. მოთხოვნილი კ2-ს ოდენობა შეადგენს 4,6-ს. მაკომპენისრებელი ღონისძიების ოდენობა დაზუსტდება პროექტირების ეტაპზე, რომელიც შეადგენს 10 %-ს.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დაყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა:
18 (ა. გვიანიძე)

არ ესწრებოდა: 1

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 17
წინააღმდეგი - 0
არ მიიღო მონაწილეობა -1(ნ. ძიძიგური)

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებულ იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : **საკითხი 8.** „ქ. ბათუმში მემედ აბაშიძის ქ. N53-ში მდებარე სახლზე შოთა ზოიძის მემორიალური დფის განთავსების თაობაზე" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ლევან ცხოიძე)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ემერიტუს პროფესორმა, ცნობილმა პოეტმა, პუბლიცისტმა, მეცნიერმა და საზოგადო მოღვაწემ - შოთა ზოიძემ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ბსუ-ს განვითარებაში, მომავალი თაობების აღზრდასა და ქართული ლიტერატურის ისტორიის შესწავლის საქმეში. მეცნიერი აქტიურად იკვლევდა ქართული მხატვრული სიტყვის მნიშვნელოვან საკითხებს, ავტორი იყო მრავალი საინტერესო მეცნიერული ნაშრომისა და რჩეული ნაწერების ორტომეულისა. ემერიტუს-პროფესორი შოთა ზოიძე ბათუმის

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში წლების განმავლობაში კითხულობდა ლექციებს ქართულ ლიტერატურაში.

შოთა ზოიძე იყო საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის თვალსაჩინო წარმომადგენელი აჭარაში, 1993-1994 წლებში ხელმძღვანელობდა საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის ორგანიზაციას. დიდი წვლილი მიუძღვის აჭარის ტელევიზიის დაარსებაში, 1991-1993 წლებში უძღვებოდა აჭარის ტელე-რადიო დეპა-რტამენტს. აქტიურად იყო ჩაბმული დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, 1994-1998 წლებში ეკავა აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის პოსტი. შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობის პარალე-ლურად ეწეოდა ნაყოფიერ სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას. 1998-1999 წლებში ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიცვა საკან-დიდატო და სადოქტორო დისერტაციები, რომლებიც ანა კალანდაძის შემოქმედებას მიუძღვნა. 2009 წელს აირჩიეს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორად, 2016 წლიდან კი იყო ბსუ ემერიტუს-პროფესორი.

პირველი ლექსები 1960 წელს გამოაქვეყნა. 1968 წელს დაისტამბა მისი პირველი წიგნი „სიახლოვე". გამოცემული აქვს პოეტური კრებულები: „გულის ხმაური" (1970), „ათასი ზარი" (1972), „პაემანი წვიმაში" (1974), „დიდი ქალაქი" (1977), „ელდორადო" (1982), „ბათუმის წვიმა" (რუსულ ენაზე, მოსკოვი, 1979), „დელი" (1980), „სიყვარულის გაკვეთილები" (1984), „სიყვარულის ახსნა" (1986), პოეტური მანიფესტი „უსანქციო სონეტები" (1996), „სვეტი ნათლისა" (2003), „არმაზის მსხვრევა" (2014); ლიტერატურული და პუბლიცისტური წერილების კრებულები: „მიწის მადლი" (1975), „ჯვარცმული ფიქრი" (1995), ესეების კრებული „ადამიანი, რომელსაც ღმერთმა აკოცა" (2003). 1997 წელს გამოაქვეყნა ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი ბიოგრაფიული ნარკვევი „საქართველოს გოლგოთა". 2000 წელს გამოსცა მონოგრაფია ანა კალანდაძეზე -„ანა დედოფალი". 2013 წელს დაიბეჭდა მისი „რჩეული ნაწერები" (2 ტომი). უკანასკნელ წლებში ხშირად ბეჭდავდა პოეტურ ტექსტებსა და ესეებს, რომლებიც, ტრადიციულად, დიდ რეზონანსს იწვევდა მკითხველსაზოგადოებაში.

შოთა ზოიძის დამსახურება ქვეყნისა და ქართულ ლიტერატურის წინაშე ღირსეულად დაფასდა: 1997 წელს ერთდროულად მიენიჭა ღირსების ორდენი და საქართველოს სახელმწიფო პრემია, ამავე დროს იყო ნიკო ნიკოლაძის (1995), გიორგი ლონიძის (2007) და მემედ აბაშიძის (2009) პრემიების laureატი.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხის დაყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა:
19

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 19
წინააღმდეგი - 0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებულ იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ საკრებულოს მორიგი სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე
რამაზ ჯინჭარაძე

სხდომის მდივანი: მზევინარ
წულუკიძე